პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 10 ივლისი, 1951 წ. № 160 (9014). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად — „პრავდის“ 9/VII მოწინავე (1-ლი გვერდი).
საჰაერო პარადი ტუშინოში (1-ლი გვერდი).
განვაზოგადოთ პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილება (მე-2 გვერდი).
კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (მე-2 გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
დ. ქორიძე — შრომადღე და მისი როლი საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებაში (მე-2 და მე-3 გვერდი).
მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარების ტემპი უნდა გაძლიერდეს (მე-3 გვერდი).
რაციონალიზატორთა შემოქმედებითი შრომის ნაყოფი (მე-3 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
კესონის წინასწარი მოლაპარაკების შესახებ (მე-4 გვერდი).
არგენტინის კომპარტიის აღმასკომის განცხადება (მე-4 გვერდი).
ირანის საშინაო საქმეებში ინგლის-ამერიკის ჩარევის გამო (მე-4 გვერდი).

## საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად

ზეიმით აღნიშნა ჩვენმა სამშობლომ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. გუშინ მოსკოვთან, ტუშინოს აეროდრომზე, გაიმართა ტრადიციული პარადი, რომელიც სტალინური ავიაციის განვითარების, საავიაციო ტექნიკის განვითარებისა და ათვისების ახალ მიღწევათა შესანიშნავ დემონსტრაციას წარმოადგენდა. სახელოვანმა სტალინურმა შევარდნებმა გვიჩვენეს თავიანთი გაზრდილი საფრენოსნო ოსტატობა.

საჰაერო ფლოტის დღემ მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაიარა, როგორც დიდმა დღესასწაულმა. საბჭოთა სამშობლოსათვის პატრიოტული სიამაყით გადაიხადა გუშინ ჩვენმა ხალხმა სახელოვანი სტალინური ავიაციის, კომუნისტური პარტიის მიერ გამოზრდილი შესანიშნავი საავიაციო კადრების დღესასწაული. ურღვევი ძმური მეგობრობით გაერთიანებულმა სსრ კავშირის ყველა ხალხმა ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

სტალინური ავიაციის დღესასწაულს წელს საბჭოთა ხალხი შეხვდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში. წარმატებით შესრულდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა. საბჭოთა ხალხი ენთუზიაზმით იღებს მონაწილეობას ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე კომუნიზმის დიად ...

... და სულ უფრო და უფრო მტკიცე მეგობრობის საფუძვლებს“.

პარტიის მოწოდებით მუშები, გლეხები, ინტელიგენცია სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მილიონიანი მასების შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერების გამოხატულებაა ის მაღალი ვალდებულებანი, რასაც მშრომელნი კისრულობენ წერილებში ამხანაგ სტალინისადმი.

ჩვენში სოციალისტური შეჯიბრება ნამდვილ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებად გადაიქცა. სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს მშრომელთა ყველა ფენა. აზერბაიჯანის სსრ, ბაშკირეთის, თათრეთის ასსრ, თურქმენეთის სსრ, კუიბიშევის, გროზნოს, დროგობიჩისა და სხვა ოლქების ნავთის მრეწველობის მუშაკები ერთმანეთს ეჯიბრებიან მიმდინარე წელს მრავალი ათასი ტონა ზეგეგმითი ნავთის ამოღებისათვის. დონბასისა და კუზბასის, ყარაგანდისა და ურალის, მოსკოვის აუზის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, საქართველოსა და პეჩორის აუზის მეშახტეები, რომლებმაც პირობა დადეს ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა, ზრდიან ქვანახშირის ამოღებას. კუზნეცკის, მაგნიტოგორსკის, სტალინოსა და სხვა სამრეწველო ცენტრების მეტალურგები, ანაღდებენ რა ნაკისრ ვალდებულებებს, იბრძვიან წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. დიდი აღმავლობით მიმდინარეობს მანქანათმშენებელთა და ფეიქართა, მშენებელთა და ტრანსპორტის ...

[...]

... თა პატრიოტიზმი კი არ თიშავს, არამედ, პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას. ამაში უნდა ვხედავდეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ...

... ღოლობით საბჭოთა ხალხი მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

„პრავდის“ 9/VII მოწინავე

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეექვსე ტომი ბელორუსულ ენაზე

**მინსკი,** 5 ივლისი. (საქდესი). ბელორუსიის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ბელორუსულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეექვსე ტომი.

თარგმანი რუსული გამოცემიდან განახორციელა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ბელორუსიის ფილიალმა.

## ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე ტომი ტაჯიკურ ენაზე

**სტალინაბადი,** 5 ივლისი. (საქდესი). ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ტაჯიკურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე ტომი.

თარგმანი რუსული გამოცემიდან განახორციელა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტაჯიკეთის ფილიალმა.

# საჰაერო პარადი ტუშინოში

კვირას, 8 ივლისს, ტუშინოს აეროდრომზე, მოსკოვთან, გაიმართა ტრადიციული საჰაერო პარადი სსრ კავშირის ...

[...]

... ლებს — სტალინურ შევარდნებს.

...მარჯვნიდან აეროდრომს უახლოვდება სამი წითელი თვითმფრინავი იაკ-18. ისინი მოჰყავს ჯგუფის მეთაურს სპორტსმენ მფრინავს პლატონოვს. მიმყოლნი არიან სპორტსმენები ლაპინი და კუროჩკინი. საფრენოსნო საქმე მათი პროფესია როდია. ეს არის სპორტი, რომელსაც ისინი თავისუფალ დროს ეწევიან. მაგრამ ცაზე ვხედავთ მათ ოსტატობას. რგოლი, თით- ...

... და ღრუბლებში მიიმალნენ. ძველი ჩვეულებისამებრ მათ მოველით მოტორის ხმაურის მიმართულებით. ამაოდ! ბგერა კი არ უსწრებს, არამედ თან ახლავს ამ უსწრაფეს მანქანებს. ისინი სწრაფად უახლოვდებიან აეროდრომს, თითქოს თვალწინ იზრდებიან. ისინი პირდაპირ მიდიოდნენ ურთიერთისაკენ, შემდეგ გვერდი შეუარეს ერთმანეთს და კვლავ გაქრნენ. მანქანები უზარმაზარ წრეს ავლებენ ცაში, თითქმის პირდაპირ ...

... ლებიც თავიანთი გარეგნობით მართლაც ისარს ჰგავანან. პირველი კოლონა მოჰყავს რეაქტიული თვითმფრინავების ათვისების პიონერს გვარდიის პოლკოვნიკ ასტახოვს, მეორე—პოლკოვნიკ კრუპინს, მესამე—პოდპოლკოვნიკ კილეინიკოვს.

ზედიზედ მოქრიან რგოლებად რეაქტიული ავიაგამანადგურებლები... მძლავრი იარაღით აღჭურვა საბჭოთა ხალხმა თავისი სტალინური შევარდნე- ...

... ფარა სხვადასხვა ფერის გამჭვირვალე საპარაშუტო აბრეშუმმა. დღესასწაულის მონაწილე სპორტსმენთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელნიც ახლახან დაეუფლნენ ხტომის ტექნიკას.

მასობრივი საპარაშუტო დესანტი, რომელიც ტუშინოს აეროდრომზე გადმოსხეს, მოამზადა მაიორმა ძიუბენკომ.

საჰაერო პარადი დამთავრდა. აეროდრომზე ძლევამოსილად გაისმის სიმღერა სტალინზე... (საქდესი).

## სტალინური ავიაციის დღე თბილისში

თბილისის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაული—სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. ქალაქის ბაღებსა და პარკებში გაიმართა სახალხო სეირნობა, სტადიონებსა და საპორტო მოედნებზე მოეწყო მასობრივი სპორტული შეჯიბრებანი.

ათობით მშრომელმა დაათვალიერა თბილისის ოფიცრის სახლში მოწყობილი გამოფენა, რომელიც გვიჩვენებს სტალინური ავიაციის მიერ განვლილ სახელოვან გზას და მის როლს მშვიდობისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

თბილისის გარნიზონის ნაწილებში ავიაციის დღის აღსანიშნავად მოეწყო მხატვრული თვითმოქმედების საღამოები.

თბილისის ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ნორჩ ავიამოდელისტთა საღამო.

ფართოდ აღნიშნეს სახელოვანი დღესასწაული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველოს მფრინავებმა.

საღამოს მიცემულ იქნა საარტილერიო სალუტი. ქალაქის ცა გაჩირაღდნა ასობით ნაირფერადმა შუშხუნამ. სადღესასწაულო სალუტის საარტილერიო ზალპი შეუერთდა მისასალმებელ შეძახილებს მძლავრი საბჭოთა ავიაციის პატივსაცემად, დიდი სტალინის პატივსაცემად. (საქდესი).

## სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა

**ვილნიუსი,** 7 ივლისი. (საქდესი). შიაულიაის ოლქის აკმიანის რაიონის ავალინკა კარპენაიში დამთავრდა ლიტვის პირველი სახელმწიფო სასოფლო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ეს სადგური შვიდ კოლმეურნეობას მიაწვდის დენს.

კოლმეურნეობათა ელექტროფიკაცია ფართოდ მიმდინარეობს. რესპუბლიკაში სახალხო მშენებლობის მეთოდით შენდება 8 საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგური. თითქმის ყველა ეს სადგური წლის დამლევამდე ამუშავდება.

პარტიული ცხოვრება

# განვაზოგადოთ პარტიული მუშაობის გამოცდილება

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდა, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. ეს საქმე შედარებით უკეთ არის დაყენებული ლენინის სახელობის მაღაროში. ამიტომ იყო, რომ ამ დღეებში აქ მოეწყო ახალგაზრდა კომუნისტების სპეციალური თათბირი, რომელსაც მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებოდნენ მარგანეცის ქალაქის მსხვილ საწარმოთა პარტბიუროების მდივნები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგემ ამხ. ლ. გეგეშიძემ.

ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის შესახებ მოხსენება გააკეთა ლენინის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. გრ. ყიფშიძემ. ამ მაღაროს პარტიული ორგანიზაცია 83 ახალგაზრდა კომუნისტს აერთიანებს. ისინი ნაყოფიერად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოღებისათვის.

ახალგაზრდა კომუნისტები ქ. ციხისელი, გ. შეყლაშვილი, ს. შუბითიძე, შ. მაჭარაშვილი და სხვები სტახანოვური შრომის საუცხოო ნიმუშებს იძლევიან. საკმარისია ითქვას, რომ ამხ. ქ. ციხისელმა ექვსი თვის გეგმა 161 პროცენტით შეასრულა და 18.400 მანეთი გამოიმუშავა.

პარტიული ბიურო ზრუნავს ახალგაზრდა კომუნისტების თეორიული მომზადებისა და მათი პრაქტიკულ მუშაობაში გამოწრთობისათვის. ყველა ახალგაზრდა კომუნისტი ჩაბმული იყო პარტიული განათლების ქსელში. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის ნაყოფიერად იმუშავეს ახალგაზრდა კომუნისტებმა ს. აბაშიძემ, ა. ბარბაქაძემ, თინა, ლენა, დონიკა გაფრინდაშვილებმა, გ. შეყლაშვილმა, ი. ფარქოსაძემ, გ. ლომსაძემ და სხვებმა. მოწინავე პროპაგანდისტები არიან ახალგაზრდა კომუნისტები, ინჟინრები გ. ჩაჩანიძე, ი. ბაირამაშვილი, რიმა ფერაძე. ახალგაზრდა კომუნისტებს მიცემული აქვთ პარტიული დავალება, 21 მათგანი აგიტატორია. მაღაროელებთან შინაარსიან და მიმზიდველ საუბრებს მართავენ აგიტატორები ლ. გაფრინდაშვილი, თ. ჩაჩანიძე, ს. გაფრინდაშვილი, ა. მთვარაძე, შ. მაჭარაშვილი და სხვები.

ახალგაზრდა კომუნისტებთან პარტიული ბიურო აწყობს საუბრებსა და თათბირებს. პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე მოისმინეს 23 ახალგაზრდა კომუნისტის ინფორმაცია, თუ როგორ მუშაობენ ისინი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, წარმოებაში ავანგარდული როლის შესრულებისათვის. 85 საკითხის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა კომუნისტებმა.

ახალგაზრდა კომუნისტებისათვის მოეწყო მოხსენებები — „რას მოითხოვს საკავშირო კ. პ. (ბ) წესდება კომუნისტისაგან", „კომუნისტის უფლება-მოვალეობა", „რას ნიშნავს დემოკრატიული ცენტრალიზმი" და სხვ.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს ახალგაზრდა კომუნისტებმა ა. კურცხალიამ, რ. ფერაძემ, შ. მაჭარაშვილმა, დ. ცხოვრებაძემ, ქ. ავალიანმა, ჯ. ბუბულაშვილმა, ს. შუბითიძემ, ა. მთვარაძემ და სხვებმა. მათ თათბირის მონაწილეებს მოუთხრეს, თუ როგორ მუშაობენ და იზრდებიან, რას მოითხოვენ პარტბიუროსაგან და სხვ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პ. პეტრიაშვილი.

# თათბირი მოსავლის აღების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხზე

**კასპი.** (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოიწვია თათბირი მოსავლის აღების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხზე. მოხსენება გააკეთა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ლ. გურგენიძემ.

აღინიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაძლიერდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორები რაზმავენ კოლმეურნეებს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. სოფელ ქვემო გომის ჩარკვიანის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის წევრთა შორის საინტერესო საუბრებს აწყობს ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი სოფიო მარიდაშვილი. იგი მოუთხრობს კოლმეურნეებს საბჭოთა ქვეყნის გრანდიოზულ მიღწევებზე, ხუთწლედის შედეგებზე, შაქრის ჭარხლის მოყვანის თავის გამოცდილებაზე. კარგად დაყენებული მასობრივი მუშაობის შედეგიცაა, რომ კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს მოსავლის აღება.

მაგრამ ყველგან როდია ასე. სოფელ ალაიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში სააგიტაციო მუშაობას ყურადღება არ ექცევა. აგიტატორებად გამოყოფილი მასწავლებლები ნინო გელხაური და ლოლა დილიმაშვილი არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. პარტიული ორგანიზაციის მდივანი, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი — მ. დიდიმაშვილი ცუდად ხელმძღვანელობს სააგიტაციო მუშაობას.

აგიტატორთა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა, კედლის გაზეთების რედაქტორთა, კლუბებისა და სამკითხველოების გამგეთა და პარტორგანიზაციების მდივნების თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიება მოსავლის აღების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლის უზრუნველსაყოფად.



**სტალინგრადი.** გემთსაშენმა ქარხანამ გამოუშვა პირველი მიწისმწოვი მანქანა „300-40" კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისათვის. **სურათზე:** ახალი მიწისმწოვი მანქანა. ფოტო ა. მაკლეცოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

# კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა!

(რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე)

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივმა სადგურ პოდვოლოჩისკის კოლექტივისაგან მიიღო წერილი. სადგურის მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები წერენ:

„ჩვენ, სადგურ პოდვოლოჩისკის მუშაკებს, გვსურს ჩვენი შრომით დავაჩქაროთ კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობა. ამიტომ გადავწყვიტეთ ყოველმხრივ დავაჩქაროთ დიადი მშენებლობებისათვის განკუთვნილი ტვირთების გაგზავნა".

სადგურში შეიქმნა საკონტროლო საგუშაგო. კომკავშირელები და ახალგაზრდობა თვალყურს ადევნებენ კახოვკაში, სტალინგრადსა და კუიბიშევში გასაგზავნი ტვირთების დროზე გატარებას. კომუნიზმის მშენებლობათათვის მოსულ დატვირთულ შემადგენლობებს სწრაფად და შეუფერხებლად ამუშავებენ. კომკავშირულმა საგუშაგომ დააჩქარა ხუთი ასეთი შემადგენლობის გადამუშავება.

(„პრავდა უკრაინი")

* * *

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტმა დაამთავრა სამხრეთ უკრაინის არხის სათავის ნაწილის რაიონის ადგილმდებარეობის საერთო გეოლოგიური აღნაგობის გამოკვლევა. საველე ექსპედიციებმა თავიანთი მუშაობა პირველად მოაწყეს ზამთარში და გაზაფხულზე.

ახლა ინსტიტუტმა სამუშაოების ადგილზე გაგზავნა ორი დიდი ექსპედიცია,—ზაპოროჟიესი და მელიტოპოლისა,—რომელთა შემადგენლობაშია 18 კაცი—გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატები, ტექნიკოსები, ლაბორანტები. ექსპედიციის მიზანია დაწვრილებით შეისწავლოს იმ საძიებო ბურღვის შედეგები, რასაც აწარმოებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, უზრუნველყოს ხელმძღვანელობა „უკრგიპროვოდხლოპოკის" მიერ წარმოებულ გეოლოგიურ ძიებათა მთელი კომპლექსისადმი.

(უკრაინის დეპეშათა სააგენტო)

* * *

აშხაბადის მასობრივი ბიბლიოთეკები, ლენინგრადის ბიბლიოთეკების ინიციატივის მიხედვით, ატარებენ წიგნების შეგროვებას და ბიბლიოთეკების დაკომპლექტებას თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთათვის.

მკითხველებისაგან მიღებულია და ბიბლიოთეკების ფონდებიდან გამოყოფილია 745 მხატვრული, პოლიტიკური და სხვა წიგნი, მათ შორის სტალინური პრემიის ლაურეატების ბაბაევსკის „ოქროს ვარსკვლავის კავალერი" და „შუქი მიწაზე", პავლენკოს „ბედნიერება", ქერბაბაევის „გადამწყვეტი ნაბიჯი" და სხვ.

არხის მშენებლები აშხაბადის ბიბლიოთეკებისა და მკითხველებისაგან საჩუქრად მიიღებენ 3.000 წიგნს.

(„ტურკმენსკაია ისკრა")

* * *

ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის სამშენებლო მოედანზე მოვიდა პირველი ეშელონი № 1 გენერატორის ძირითადი ნაწილებით. ეს გენერატორი ვადამდე დაამზადა ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილამ". სპეციალურად მოწყობილ ბაზებში მოხდება აგრეგატის შემოწმება და მისი კვანძების აწყობა.

(„მოლოტ" — დონის როსტოვი)

* * *

ტაშკენტის ლენინის რაიონის სტუდენტებმა და მოსწავლეებმა გადაწყვიტეს გაუგზავნონ თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს საჩუქარი—მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკა. მათ შეაგროვეს სამი ათასამდე წიგნი—ლ. ტოლსტოის, ი. ტურგენევის, ა. პუშკინისა და სხვა რუსი მწერლების ნაწარმოებები. შეგროვებულია სტალინური პრემიის ლაურეატების წიგნებიც.

ბიბლიოთეკა უკვე გაიგზავნა ტახიატაშში.

(უზბეკეთის დეპეშათა სააგენტო)

# მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ტამბოვის ოლქის ტოკოლოვოვის კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის მუშაკთა კოლექტივმა;

ბელორუსიის ალკკ კორელიჩის რაიკომმა, ბარანოვიჩის ოლქი;

ხარკოვის ოლქის ვოლჩანსკის რაიონის საფინანსო მუშაკთა კოლექტივმა;

იაკუტიის ასსრ ოლეკმინის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ალექსეევსკოეს რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა;

როსტოვის ოლქის მშრომელთა დეპუტატების დასავლეთის რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ქ. გორკის კუიბიშევის რაიონის მშრომელებმა;

როსტოვის ოლქის სტეპნოეს რაიონის № 383 მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

როსტოვის ოლქის სტეპნოეს რაიონის ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

პენზის ოლქის ნიკოლო-პესტროვის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნოარმეეცის" წევრებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ კუდარის აიმაკის კოლმეურნეობა „კრასნი პახარის" წევრებმა;

პენზის ოლქის ტამალის რაიონის ძერჟინსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ქ. ხარკოვის მშრომელთა დეპუტატების კრასნოზავოდსკის რაიონულმა საბჭომ;

აზერბაიჯანის სსრ ასტარის რაიონის მშრომელებმა;

ბოლოტნოეს № 20 სახელმწიფო სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის ზაჩეპილოვის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვე ჟიტიას" წევრებმა;

კურსკის ოლქის ბელენიხინის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

პენზის ოლქის სოსნოვსკის რაიონის ბუდიონის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

პენზის ოლქის ტამალის რაიონის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედის" წევრებმა;

ვორონეჟის ოლქის როსოშის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკებმა;

ტამბოვის ოლქის შულგინის რაიონის კოლმეურნეობა „დრუჟბას" წევრებმა;

საქართველოს სსრ ხობის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრების მონაწილეებმა;

აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრების მონაწილეებმა;

აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კურსკის ოლქის ტიმიროვის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტ ილიჩას" წევრებმა;

პენზის ოლქის სოსნოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „სორევნოვანიეს" წევრებმა;

როსტოვის ოლქის სელივანოვის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკებმა;

კურსკის ოლქის ველიკო-მიხაილოვკის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის ნოვოჩერკასკის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინას" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის იზბერდეის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არმიის 22-ე წლისთავის" წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ აგდამის რაიონის ქალთა № 4 სკოლის პედაგოგებმა;

სახელმწიფო ბანკის უზბეკეთის რესპუბლიკური კანტორის თანამშრომელთა კოლექტივმა;

პენზის ოლქის ნიკოლო-პესტროვის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კურსკის ოლქის სკოროდნოეს რაიონის სტეფანე რაზინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ტამბოვის ოლქის ა. ს. პუშკინის სახელობის სოფლის ბიბლიოთეკის [illegible];

ბრესტის ოლქის კობრინის რაიონის კოლმეურნეობა „სტალინსკი პუტის" წევრებმა;

ბრესტის ოლქის პრუჟანსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზვეზდას" წევრებმა;

კურსკის ოლქის გლუშკოვის რაიონის კოლმეურნეობა „ბორონეჟის" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის იზბერდეის რაიონის კოლმეურნეობა „პიატილეტკას" წევრებმა;

პენზის ოლქის ბაშმაკოვის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბობრუისკის ოლქის პარიჩის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კუიბიშევის ქალთა № 5 საშუალო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა;

მოსკოვ-კურსკის რკინიგზის სადგურ კურსკის ელექტროსადგურის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. მოსკოვის ქიმიურ-ფარმაცევტული ტექნიკუმის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის ბაზარნო-კარაბულაკის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა;

კალინინის ოლქის სპიროვის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა;

პენზის ოლქის ტამალის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი პუტის" წევრებმა;

პენზის ოლქის ტამალის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა;

სტალინის ოლქის ქ. კრასნოარმეისკოეს № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა, კომკავშირელებმა, პიონერებმა და მოსწავლეებმა;

კურსკის ოლქის სვობოდის რაიონის XVII პარტყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა;

ლვოვის რკინიგზის სადგურ გროდოვიცის მუშა-მოსამსახურეებმა;

მოლოტოვის ოლქის ნიტვის № 5 სკოლის პიონერებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

აზერბაიჯანის სსრ სალიანის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა;

მოლოდეჩნოს ოლქის სვირის რაიონის მასწავლებლებმა;

ხარკოვის ოლქის სტარო სალტოვის რაიონის სასამართლოს, პროკურატურისა და ადვოკატურის მუშაკებმა;

დნეპროპეტროვსკის ოლქის ნოვო-მოსკოვსკის რაიონის მშრომელებმა;

ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონის მეკავშირეებმა;

როვნოს ოლქის ვერბის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

პენზის ოლქის ბეკოვის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოკტიაბრის" წევრებმა;

ბრესტის ოლქის ვისოკოეს რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

ბრესტის ოლქის ანტოპოლის რაიონის გოროდეცის საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

ქალაქ სემიპალატინსკის № 10 ვაჟთა შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

პენზის ოლქის მოკშანის რაიონის მედიცინის მუშაკებმა;

ტამბოვის ოლქის იზბერდეის რაიონის იზბერდეის მტს-ის მუშა-მოსამსახურეებმა;

ალტაის მხარის ადგილობრივი მრეწველობის სამხარეო განყოფილების ქალაქ ბარნაულის სამკერვალო ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის ბორისოვკის რაიონის XVII პარტყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა;

ბრესტის ოლქის ანტოპოლის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ;

ლატვიის სსრ დაუგავპილსის პურის კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კალუგის ოლქის კოზიოლსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქალაქ ულან-უდეს № 26 სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

აზერბაიჯანის სსრ კასუმ-ისმაილის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

(გაგრძელება იქნება)

კონსულტაცია

# შრომადღე და მისი როლი საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებაში

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების საფუძველზე ძირფესვიანად შეიცვალა შრომის ხასიათი სოფლად, განხორციელდა შრომის სოციალისტური ორგანიზაცია და შეიქმნა ყველა პირობა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებისათვის.

კოლმეურნეობებში შრომის კოლექტიური, სოციალისტური ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრის საშუალებას წარმოადგენს შრომადღე. შრომადღე წარმოადგენს შრომისა და მოხმარების საზომს კოლმეურნეობაში, სწორად ათავსებს კოლმეურნეთა პირადსა და საზოგადოებრივ ინტერესებს და გამოხატავს წარმოებითი ურთიერთობის სოციალისტურ ტიპს სოფლის მეურნეობაში.

ამხანაგმა სტალინმა შექმნა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია. ამ თეორიის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო არტელი თანამედროვე ეტაპზე არის საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარების ძირითადი, მთავარი ფორმა. განაზოგადა რა სოფლად სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილება, ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა საკოლმეურნეო წარმოების და, მაშასადამე, საბჭოთა ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია—შრომადღე. „კოლმეურნეობამ შემოიღო შრომადღე,—ამბობს ამხანაგი სტალინი.—ხოლო რა არის შრომადღე? შრომადღის წინაშე ყველა თანასწორია—მამაკაცებიც და ქალებიც. ვინც მეტ შრომადღეს გამოიმუშავებს, ის მეტსაც იღებს".

განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელებამ შრომადღის საშუალებით დიდი როლი შეასრულა საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების საქმეში. კოლმეურნეობებში შრომის მიხედვით ანაზღაურება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, მაშასადამე, კომუნიზმში გადასვლისათვის.

სოციალისტური წყობილება მოითხოვს შრომისა და მოხმარების მკაცრ აღრიცხვას. კოლმეურნის შრომის აღრიცხვა მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, თანასწორი შრომისათვის თანასწორი ანაზღაურება შრომადღის საშუალებით ხორციელდება. შრომადღე საკოლმეურნეო წარმოებიდან დევნის წვრილბურჟუაზიულ გათანაბრებას, რომელიც არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების კანონზომიერებას.

განაწილების სოციალისტური პრინციპი „თვითეულისაგან—მისი უნარის მიხედვით, თვითეულს—მისი შრომის მიხედვით" წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მაგრამ განაწილების ამ სოციალისტური პრინციპის განხორციელება კოლმეურნეობებში განსხვავებული ფორმით ხდება, ვიდრე სახელმწიფო საწარმოებში. ეს განსხვავება გაპირობებულია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმით: სახელმწიფო საწარმოებში წარმოების საშუალებათა საერთო-სახალხო საკუთრება მოითხოვს შრომის ანაზღაურების ხელფასის ფორმას, კოლმეურნეობებში კი, სადაც არსებობს წარმოების საშუალებათა კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრება, შრომის ანაზღაურება ხდება შრომადღის მიხედვით.

განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელების თავისებურებანი კოლმეურნეობებში შემდეგია: პირველი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ხდება შრომადღის მიხედვით ნატურით და ფულით; მეორე, სასოფლო-სამეურნეო არტელში თავდაპირველად აღირიცხება შრომა, პერიოდულად ხდება ავანსების გაცემა, წლის ბოლოს საბოლოოდ ირკვევა კოლმეურნის ნამუშევრის რაოდენობა და მთავრდება შრომის ანაზღაურება; მესამე, კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილება იგეგმება, მაგრამ კოლმეურნის მთელი შემოსავლის და შრომადღის წინასწარი, გარანტირებული განსაზღვრა შეუძლებელია. იგი დამოკიდებულია კოლმეურნეობის წლიური შემოსავლის სიდიდეზე და კოლმეურნეთა შრომითს აქტივობაზე; მეოთხე, შრომადღეების თანატოლ რაოდენობაზე მიღებული ანაზღაურება ერთ კოლმეურნეობაში შეიძლება განსხვავებული იყოს სხვა კოლმეურნეობაში იმავე რაოდენობის შრომადღეების ანაზღაურებისაგან.

საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნის მიერ დახარჯული შრომის გამოხატვა შრომადღეებით და ამ გზით მისი შრომის ანაზღაურება წარმოადგენს ეკონომიურ აუცილებლობას და განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო არტელის წარმოების ბუნებით. ამიტომ შრომადღე დიდმნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო არტელში. იგი გამოყენებულია ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დასაძლევად და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განსამტკიცებლად.

* * *

შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში შეუძლებელია საზოგადოებრივ მეურნეობაში დახარჯული სხვადასხვაგვარი კონკრეტული შრომის გაუზომავ-შეუფასებლად. ასეთი საზომია შრომადღე. სხვადასხვაგვარ სამუშაოთა გამოხატვა შრომადღეებით და შეფასება, მათი მიყვანა ერთ მაჩვენებლამდე შესაძლებელია გამომუშავების ნორმების მეშვეობით.

გამომუშავების ნორმები საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის და დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. უიმისოდ შეუძლებელია კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვა რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელება.

როგორც სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაშია მითითებული, ყოველი სამუშაო გამომუშავების ნორმების საშუალებით შრომადღეებით უნდა შეფასდეს. შეფასება ხდება მუშაკის კვალიფიკაციის, სამუშაოს სირთულის, სიძნელის და არტელისათვის მისი მნიშვნელობის მიხედვით. ყველა დარგის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის წესდება გამომუშავების ნორმები, რომელთა შესრულებას შეძლებს კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნე მუშა-პირუტყვის, მანქანების და ნიადაგის მდგომარეობის გათვალისწინებით. გამომუშავების ნორმები კოლმეურნეობებში უნდა ეთანაბრებოდეს საშუალო პროგრესიულ ანუ მოწინავეთა გამომუშავების ნორმებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას და განამტკიცებენ შრომადღეს.

გამომუშავების ნორმების საფუძველზე ყველა სამუშაოზე დახარჯული შრომის საზოგადოებრივი შეფასება ხდება შრომადღით. შრომადღის საშუალებით იგეგმება და განისაზღვრება საკოლმეურნეო წარმოებაში საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ხარჯვა როგორც საერთოდ, ისე ცალკე დარგებისა და კულტურების მიხედვით. საზოგადოებრივი შრომის ხარჯვა საკოლმეურნეო წარმოებაში გაპირობებულია კოლმეურნეთა შრომით. კოლმეურნის შრომა ნაწილია საზოგადოებრივი საკოლმეურნეო შრომისა. როგორც საზოგადოებრივი საკოლმეურნეო შრომის, ისე თვითეული კოლმეურნის შრომის საზომი ერთეულია შრომადღე.

გამომუშავებული შრომადღეებით გაიზომება არა მარტო კოლმეურნის შრომის რაოდენობა საზოგადოებრივ-საკოლმეურნეო წარმოებაში, არამედ მისი წილიც საკოლმეურნეო პროდუქტში. კოლმეურნე მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით იღებს ძირითად შემოსავალს კოლმეურნეობიდან. მაშასადამე, შრომადღე არის საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილების კატეგორია და კოლმეურნეთა მოხმარების საზომი.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარება განსაზღვრავს საკოლმეურნეო ცხოვრების ყოველ მხარეს. თუ ძლიერია კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა, მაშინ მაღალ დონეზე დგას კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა. ლენინ-სტალინის პარტია ყოველმხრივ ზრუნავს საკოლმეურნეო წარმოების განსავითარებლად, საზოგადოებრივი მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საკითხები — განუყოფელი ფონდის ანარიცხების გამოყოფა უპირველესყოვლისა საწარმოო მშენებლობებზე, სამიწათმოქმედო კულტურების და მეცხოველეობის განვითარება, სარწყავი არხების და სამეურნეო ნაგებობათა ფართოდ მშენებლობა და ა. შ., კოლმეურნეთა ყურადღების ცენტრში უნდა იდგნენ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის შემოსავლის სწორი განაწილება უზრუნველყოფს სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ინტერესების შეთავსებას, ხელს უწყობს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას, მის გაფართოებულ რეპროდუქციას.

შემოსავლის სიდიდე საკოლმეურნეო წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებრივი მაჩვენებელია. კოლმეურნეობის სიძლიერე განაპირობებს მის მაღალ შემოსავალს. რაც უფრო დიდია კოლმეურნეობის შემოსავალი, მით უფრო მეტი ნაწილი გამოიყოფა საერთო შემოსავლიდან, ერთი მხრივ, კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის და, მეორე მხრივ, კოლმეურნეთა შორის შრომადღეების მიხედვით გასანაწილებლად. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა საკოლმეურნეო წყობილების საფუძველია, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის გადამწყვეტი პირობაა. გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება 1950 წელს შეადგენდა 11.059.399 მანეთს, ფულადი შემოსავალი 9.363.137 მანეთს. ამ თანხიდან კოლმეურნეებზე და ტრაქტორისტებზე გასაცემად განისაზღვრა 6.209.185 მანეთი. მარცვლეულის შემოსავალი უდრიდა 5.214 ცენტნერს. აქედან, შრომადღეებზე გასანაწილებლად გამოიყო — 4.558,5 ცენტნერი. შრომადღის ანაზღაურება უდრიდა: 34 მანეთსა და 58 კაპ. და 2,53 კილოგრამ მარცვლეულს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წარმოების კანონზომიერი თავისებურება მისი შემოსავლის და შრომადღის ანაზღაურების ზრდაა. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, სამამულო ომის წინა წელს, წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება შეადგენდა მანეთობით: 1940 წელს—3.175.631, 1950 წელს — 9.882.255; ფულადი შემოსავალი: 1940 წელს — 2.022.473 მანეთს, 1950 წელს—8.973.395 მანეთს. საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი ზრდის შედეგად კოლმეურნეობაში შრომადღის ანაზღაურება დიდად გაიზარდა. 1940 წელს ერთ შრომადღეზე მოდიოდა: 12 მანეთი და 50 კაპ. და 2,1 კილოგრამი მარცვლეული, 1950 წელს — 21 მანეთი და 3,05 კილოგრამი მარცვლეული. საკოლმეურნეო წარმოების განვითარების და მისი შემოსავლის ზრდასთან ერთად დიდდება შრომადღის ანაზღაურება და კოლმეურნეთა ძირითადი შემოსავალი, რომელიც კოლმეურნეთა პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდება. ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო არტელის ყოველმხრივ განვითარება და განმტკიცება შრომადღის ანაზღაურების ზრდის, კოლმეურნეთა შეძლებულობის წყარო და საფუძველია.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება მაღალი რომ იყოს და მისი ზრდა განუხრელი, საჭიროა კოლმეურნეები მუშაობდნენ კეთილსინდისიერად, საუკეთესოდ იყენებდნენ წარმოების საშუალებებს და ზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებას. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს: „თუ ყველა კოლმეურნე,—ყველა, და არა მხოლოდ უმრავლესობა,—პატიოსნად იმუშავებს, — კოლმეურნეობანი აივსებიან პროდუქტებით, ისინი აივსებიან ყოველგვარი დოვლათით, და ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა გახდება".

კოლმეურნეთა შრომითი აღმავლობა განაპირობებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მათს აქტიურ მონაწილეობას, არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურულ კეთილდღეობას. გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობით მოწმდება კოლმეურნის შრომითი აქტივობა, მისი მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში. საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობებში თვალსაჩინოდ იზრდება გამომუშავებულ შრომადღეების რაოდენობა, ასევე საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობის მაჩვენებლები. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ შრომ-

# მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარების ტემპი უნდა გაძლიერდეს

თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში პურეულის აღება მასობრივად გაჩაღდა. მოწინავე კომბაინერები იოსებ ქენქებაშვილი, ა. ავეტისოვი და სხვები ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, კომბაინერმა ი. ქენქებაშვილმა 3 ივლისს მოსავალი აიღო 35 ჰექტარზე.

მაგრამ მუშაობის ახლანდელი ტემპი ვერ უზრუნველყოფს თავის დროზე მოსავლის უდანაკარგოდ აღებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მტს-მა (დირექტორი ს. ლაშხი) 12 დღის განმავლობაში მოსავალი აიღო 950 ჰექტარზე, ასაღები კიდევ აქვს 4 ათას ჰექტარზე მეტი. შემოწმებით გამოირკვა, რომ მტს-ის 17 კომბაინიდან ერთს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა მოსავლის აღებაში. დანარჩენი კომბაინების საგრძნობი ნაწილი შეფერხებით მუშაობს და დავალებას ვერ ასრულებს. კომბაინერ ვ. ჯავახიშვილს, რომელიც სოფელ ვაშლოვანის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში იღებს მოსავალს, 25 და 29 ივნისს სრულებით არ უმუშავნია. ამის მიზეზად მტს-ის ხელმძღვანელებმა ცუდი ამინდი დაასახელეს, მაგრამ ეს მართალი არ არის. იქვე მახლობელ ფართობზე კომბაინერმა ა. ავეტისოვმა 25 ივნისს მოსავალი აიღო 15 ჰექტარზე, ხოლო 29 ივნისს—19 ჰექტარზე. სოფელ დაღეთხაჩინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ვ. შარაბიძის კომბაინი „კომუნარი" 4 ივლისსაც არ იყო ამუშავებული.

მტს-ი გეგმა-გრაფიკს ხშირად არღვევს. მაგალითად, სოფელ წინწყაროს „ზარია ვოსტოკას" სახელობის კოლმეურნეობაში პურეული გადამწიფებულია, კომბაინს მუშაობა უნდა დაეწყო 3 ივლისს, მაგრამ მტს-ის ხელმძღვანელებმა კომბაინი სხვა კოლმეურნეობაში გაგზავნეს. იმ დღეს კომბაინის მოლოდინში მრავალი კოლმეურნე გაცდა. აღსანიშნავია ერთი ფაქტი: 3 ივლისს კოლმეურნეობის კანტორაში 4 ამხანაგი დაგვხვდა. თითოეული მათგანი იძლეოდა სხვადასხვა განკარგულებას ამა თუ იმ საქმის შესასრულებლად. ერთი მათგანი, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. სტაფილოვი უხერხულ მდგომარეობაში იყო. ჩანდა, რომ მიმაგრებული ამხანაგები მის ფუნქციებში ერეოდნენ. ამ კოლმეურნეობისათვის მიუმაგრებიათ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი ა. გამბარიანი, რაისაბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგე ქ. ტოფუზისი. ქ. ტოფუზისის განკარგულებით ამ სოფელში დამზადებათა აგენტი ამხ. ჯადოვი გაიყვანეს პურის მკაზე. ეს მაშინ, როცა დამზადებათა საქმე ამ სოფელში ჩამორჩენილია. კოლმეურნეობას დღემდე შედგენილი არა აქვს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა-გრაფიკი. მოუწესრიგებელია შრომა. თუ აქ ახლავე არ დააჩქარეს მოსავლის აღება და ლეწვა, პურეულის დიდი დანაკარგი იქნება.

სოფელ დურნუკის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი უნდა აიღონ 890 ჰექტარზე. ყველა ნაკვეთზე პური გადამწიფებულია. აქ მტს-მა ხელშეკრულებით უნდა აიღოს 300 ჰექტარი. გ. ფეოდოროვის კომბაინი „კომუნარი" 22 ივნისიდან შეუდგა მუშაობას, მაგრამ ხშირად ცდება. 2 ივლისს დაზიანების გამო ნახევარი დღე არ უმუშავნია. 3 ივლისს კომბაინთან ერთად ტრაქტორიც დაზიანდა. ასე თუ გაგრძელდა, ეს კომბაინი 300 ჰექტარს თვენახევარში ვერ აიღებს.

სოფელ კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში 30 ჰექტარ ფართობზე ტ. დალაქიშვილის კომბაინი „კომუნარი" იღებდა მოსავალს. იგი მარცვლებს ბლომად ყრიდა ნამჯას. აღებულ ნაკვეთებზე ბევრია დარჩენილი პურის თავთავები, ხოლო მათი აკრეფისათვის არავის უზრუნია.

ასურეთის მტს-ის კომბაინები ესპარცეტსაც იღებენ. ეს კარგია. მაგრამ ზოგჯერ არასწორად იყენებენ კომბაინს. ამ ხუთი დღის წინათ სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობაში კომბაინერი რ. ყრუაშვილი აიძულეს გასათიბი მწვანე ბალახით მეტად დასარევლიანებული ესპარცეტის ნაკვეთი აეღო. კომბაინს ხშირად უზიანდება ნაწილები, ნედლი ბალახი ეხვევა ღერძზე და თითქმის ყოველ შემოვლაზე ჩერდება. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა რატომღაც დაჟინებით მოითხოვს ესპარცეტის კომბაინით აღებას, მაშინ, როცა იქვე 105 ჰექტარზე გადამწიფებულია ხორბალი.

მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საქმეში ნაკლოვანებებს ვხვდებით სხვა კოლმეურნეობებშიც. ზოგან პურის ჩაბარებას არ ჩქარობენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ პირველ ივლისამდე მოსავალი აღებული იყო 1.300 ჰექტარზე მეტ ფართობზე, ხოლო სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 28 ტონა მარცვლეული.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ შემჩნეულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსასწორებლად, მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარების ტემპის გასაძლიერებლად.

**ნ. ჯანჯღავა**

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

# მოწინავე მეაბრეშუმეები

**ბოლნისი.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს იღებენ. დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა სახელმწიფოს 2.800 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი ჩააბარეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000 კილოგრამისა. ამ კოლმეურნეობის რგოლმა, რომელსაც ელგუჯა ჯაფარიძე ხელმძღვანელობს, 150 კილოგრამის ნაცვლად 310 კილოგრამი პარკი ჩააბარა. კოლმეურნე პასიკო ასათიანმა პარკის ჩაბარების გეგმა 210 პროცენტით შეასრულა. თ. კვარაცხელიამ და ნ. ბჟალავამ პარკის ჩაბარების გეგმა 290 პროცენტით გაანაღდეს.

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე მეაბრეშუმეებმა ლ. ბუბუტეიშვილმა, ნ. დვალიშვილმა, ა. ლაზარეშვილმა, მ. გოგებაშვილმა, ს. დევნოზაშვილმა, ს. ხაჩატუროვმა, სემენაზ და ბახარ ისმაილოვებმა.

# ნათესების დამუშავება

**მზესუმზირას** პირველი თოხნის რესპუბლიკური გეგმა 5 ივლისისათვის შესრულებულია 97,4 პროცენტით, მეორე თოხნისა — 56,7 პროცენტით.

გურჯაანის რაიონში მეორე თოხნის დავალება შესრულებულია—71,5 პროცენტით, კასპის — 28,4, სიღნაღის — 58,3, წითელწყაროს — 100, თელავის — 84,9, ახმეტის — 53,9, ყვარლის — 83,3, ლაგოდეხის — 100, თბილისის გარეუბნის — 33, მცხეთის — 17,5, ხოლო საგარეჯოს რაიონში — 7,9 პროცენტით.

**სიმინდის** პირველი თოხნის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 98,9 პროცენტით. მეორედ გათოხნილია 119.821 ჰექტარი, — გეგმის 44 პროცენტი. შარშან ამავე დროისათვის გათოხნილი იყო 73.892 ჰექტარი.

მეორე თოხნის გეგმა ხაშურის რაიონში შესრულებულია 85,7 პროცენტით, ქარელის — 100, გორის — 78,6, კასპის — 64,6, დუშეთის — 71,9, თიანეთის — 81,5, გურჯაანის — 67,5, წითელწყაროს — 100, თელავის — 92,4, ახმეტის — 75,4, ყვარლის — 97,5, ლაგოდეხის — 89, გარდაბნის — 87,2, მარნეულის — 99,9, ბოლნისის — 100, დმანისის რაიონში — 100 პროცენტით.

**კარტოფილის** პირველი თოხნის დავალება რესპუბლიკის კოლმეურნეობებში განაღდებულია 93,1 პროცენტით, მეორე თოხნისა — 69,2 პროცენტით. მეორე თოხნა დაამთავრეს ახალციხის, ხაშურის, დუშეთის, თიანეთის, გურჯაანის, კასპის, სიღნაღის, ლაგოდეხის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ქუთაისის, წყალტუბოს, ვანის რაიონებმა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ.

# შეტეხილია 1.720.113 ზონარმეტრი თამბაქო

5 ივლისისათვის რესპუბლიკაში თამბაქოს მესამე თოხნის გეგმა შესრულებულია 45,4 პროცენტით, დაწყებულია მეოთხე თოხნა და თამბაქოს შეტეხა. სულ შეტეხილია 1.720.113 ზონარმეტრი თამბაქო.

აფხაზეთის ასსრ-ში შეტეხეს 838.900 ზონარმეტრი თამბაქო, აჭარის ასსრ-ში — 189.088 ზონარმეტრი, მარნეულის რაიონში — 692.125 ზონარმეტრი.

# საწყობები მინერალური სასუქისათვის

**სიღნაღი.** (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის მომარაგების წნორის განყოფილებაში, რომელიც მომსახურებას უწევს ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონებს, ახლახან დამთავრდა 500 ტონის ტევადობის საწყობის მშენებლობა. დასასრულს უახლოვდება ასეთივე ტევადობის მეორე საწყობის მშენებლობა. გათვალისწინებულია კიდევ აშენდეს 4 საწყობი მინერალური სასუქებისათვის.

მის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გამომუშავებული იყო 1940 წელს 119.500 შრომადღე, 1950 წელს—193.015. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 1950 წელს დაიხარჯა 140.084 შრომადღე. ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მოდიოდა 358 შრომადღე.

კოლმეურნეობებში შრომადღის საშუალებით განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელება მატერიალურად აინტერესებს კოლმეურნეებს, მაღლა სწევს მათს კვალიფიკაციას და შრომის ნაყოფიერებას. შრომადღე გასაგები და ხელმისაწვდომია კოლმეურნე გლეხობისათვის. შრომადღე დიდი მარეგულირებელი ძალაა კოლმეურნეთა მობილიზაციისათვის, სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესასრულებლად, სასოფლო-სამეურნეო არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის განსავითარებლად და გასამტკიცებლად.

კოლმეურნეთა კეთილსინდისიერ, აქტიურ შრომას მოაქვს მათთვის არა მარტო მატერიალური კეთილდღეობა, არამედ დიდება და საზოგადოებრივი პატივისცემა. ამის მკაფიო დემონსტრაციაა ათასობით მოწინავე კოლმეურნისათვის სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მინიჭება, მათი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება.

შრომა საბჭოთა კავშირში შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის ვალდებულებას წარმოადგენს. შრომადღის—ამ ეკონომიური კატეგორიის გამოყენებით შესაძლებელი ხდება შრომის ვალდებულების განხორციელება და კოლმეურნის შრომის მინიმუმის განსაზღვრა. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით, შრომის ხარჯვის მინიმუმი განისაზღვრება 100-150 შრომადღით. კოლმეურნის მიერ მისი შესრულება განაწილებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე და იხარჯება პერიოდების მიხედვით. შრომადღეების მინიმუმის დაწესებამ დიდი როლი შეასრულა არტელის საზოგადოებრივი მეურნეობისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობებში შრომადღეების ხარჯვის გეგმის შედგენას. შრომადღეების რაციონალურად, ეკონომიურად ხარჯვისათვის აუცილებელია კოლმეურნეობის წლიური საწარმოო გეგმის შედგენასთან ერთად დადგენილ იქნას შრომადღეების ხარჯვის გეგმა. წლიური საწარმოო გეგმის საფუძველზე შრომადღეების ხარჯვის სწორად განსაზღვრა და მართებულად გატარება დიდმნიშვნელოვანი პირობაა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. იგი ხელს უწყობს შრომადღის სრულფასოვნობის დაცვას და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას.

* * *

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დროს გათანაბრების ელემენტების ლიკვიდაციის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის შედეგების აღრიცხვას ბრიგადების მიხედვით. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმმა აღნიშნა, რომ ანაზღაურება კოლმეურნეობებში უნდა წარმოებდეს გამომუშავებულ შრომადღეებზე მიღებული მოსავლიანობის გათვალისწინებით. თებერვლის პლენუმის ამ გადაწყვეტილებამ თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა მთავრობის 1948 წლის 19 აპრილის დადგენილებით. ამ დადგენილებით მოცემულია შრომადღეების დამატებით დარიცხვისა და ჩამოწერის განსხვავებული ფორმები. ეს ფორმები ემსახურებიან შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის სრულად, თანმიმდევრულად განხორციელებას და ემყარებიან ერთ საფუძველს — მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სახელმწიფო საგეგმო დავალებას.

მთავრობის 19 აპრილის დადგენილებას უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს კოლმეურნეობის წლიური საწარმოო გეგმის მნიშვნელობა და მოსავლიანობის გეგმის მტკიცედ განსაზღვრა ბრიგადების მიხედვით. ბრიგადებში მოსავლიანობის დაგეგმვის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საწარმოო-ეკონომიური პირობები. ბრიგადის საგეგმო მოსავლიანობის შესრულება ითვლება ზუსტ მაჩვენებლად შრომადღეების დამატებითი დარიცხვის, ჩამოწერის და, მაშასადამე, კოლმეურნეთა შრომის სწორად შეფასებისათვის.

შრომადღეების დამატებითმა დარიცხვამ და ჩამოწერამ მოსავლიანობის გეგმის შესრულების მიხედვით გააძლიერა კოლმეურნეთა დაინტერესება საზოგადოებრივი შრომით, გააძლიერა საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა. ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში № 1 საწარმოო ბრიგადამ ჩაის კრეფის გეგმა შეასრულა 158 პროცენტით და დახარჯა 6.897 შრომადღე. ეს ნიშნავს, რომ ბრიგადას შესრულებული სამუშაოსათვის, გეგმის გადაჭარბების გამო, თანახმად არსებული წესისა, დამატებით უნდა დაერიცხოს ოთხი ათასი შრომადღე. ამავე კოლმეურნეობის № 3 ბრიგადამ სიმინდის მოსავლის გეგმა შეასრულა 209 პროცენტით და დახარჯა 919 შრომადღე. შესრულებული სამუშაოსათვის ბრიგადას უნდა დაერიცხოს ფაქტიურ დანახარჯზე მეტი 1.008 შრომადღე, სულ—1.927. მაშასადამე, ამ ბრიგადების კოლმეურნეთა შრომადღეების დამატებითი დარიცხვა, მოცემულ კულტურებზე, განისაზღვრა საგეგმო დავალებათა შესრულების მიხედვით და მიღებული პროდუქციის აღრიცხვით.

კოლმეურნეობებში შრომის სოციალისტური ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანარდო სისტემის საფუძველზე კოლმეურნეთა შრომის როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ანაზღაურების სრულად, თანმიმდევრულად განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს შრომადღის მნიშვნელობას. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობამ და საკოლმეურნეო აქტივმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ შრომადღის სწორად გამოყენებას, მის გეგმიანად და რაციონალურად ხარჯვას. ეს საკოლმეურნეო წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

**დ. ქორიძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი



თბილისი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა შეუდგა ჩაის პლანტაციებისა და ვენახების რიგთა შორის დასამუშავებელი კულტივატორების მასობრივ გამოშვებას. უკვე გამოშვებულია 627 კულტივატორი. სურათზე: მოწინავე სტახანოველი ამწყობი პავლე თვაური სინჯავს კულტივატორებს გაგზავნის წინ. ფოტო ვლ. გინზბურგისა

# რაციონალიზატორთა შემოქმედებითი შრომის ნაყოფი

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხგათმშენებელი ქარხნის ნოვატორები თავიანთი შემოქმედებითი შრომით აუმჯობესებენ წარმოების ტექნოლოგიას და საგრძნობლად ზრდიან დანადგართა ნაყოფიერებას. ლითონმსხმელ დ. დანილოვის წინადადებით ამას წინათ ქარხანაში შეცვალეს მილსაჭრელი დაზგის ბრინჯაოს საკისრის ჩამოსხმის წესი. ეს დეტალი ბოლოებშევიწროვებულ მილსაკს წარმოადგენს. წინათ ამ დეტალისათვის სხმულს ცილინდრული მილსაკის ყალიბით ამზადებდნენ, შემდეგ ბოლოებში შუა ნაწილის ირგვლივი გამოჩარხვის საშუალებით შევიწროებს უკეთებდნენ. დეტალის ასეთი მექანიკური დამუშავება დიდ დროს მოითხოვდა, ამასთან ძვირფასი ლითონის საგრძნობი რაოდენობა ბურბუშელად მიდიოდა და იკარგებოდა.

ქარხანაში ბევრი იფიქრეს იმის შესახებ, თუ როგორ გაეუმჯობესებინათ ბრინჯაოს საკისრის ჩამოსხმის საქმე. ჩვეულებრივად ყოველი დეტალის ჩამოსასხმელად ამ დეტალის მოდელის მიხედვით ამზადებენ ყალიბს, ხოლო ამ შემთხვევაში მთავარ სიძნელეს ის წარმოადგენდა, რომ დეტალის რთული კონფიგურაციის გამო ყალიბის დამზადება ვერ მოახერხეს.

რაციონალიზატორმა დ. დანილოვმა ყალიბის დასამზადებლად გამოიყენა დეტალის ისეთი მოდელი, რომლის ყალიბიდან ამოღება სიძნელეს არ წარმოადგენს. ამით გადაწყვეტილია ბოლოშევიწროებული დეტალის სხმულის მიღების ამოცანა.

მილსაჭრელის დაზგის ბრინჯაოს საკისრისათვის სხმულის ახალი მეთოდით დამზადება ქარხანას თვითეულ ასეთ დეტალზე 13 კილოგრამი ლითონის ეკონომიას აძლევს. გარდა ამისა, ახალი მეთოდის დანერგვამ დააჩქარა დეტალის ჩამოსხმა. თუ წინათ დღეში 6 ასეთი დეტალის ჩამოსხმას ძლივს ასწრებდნენ, ახლა 8 დეტალს ასხამენ.

ახალი მეთოდით მუშაობა დიდად ამცირებს ამ დეტალის მექანიკური დამუშავებისათვის საჭირო დროს.

სამჭედლო საამქროში ზეინკალმა ფ. კოვალენკომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ღუმელის გამხურებელი ფრქვევანას კონსტრუქცია. ფრქვევანას საქშენს, რომელიც ცილინდრულ მილს წარმოადგენს, ზამბარისებრი ღარები გაუკეთა. ამით საქშენში გამავალ ჰაერს გრიგალისებრი მიმართულება მიეცა, გაუმჯობესდა მაზუთის წვა, ღუმელში 300—400 გრადუსით ამაღლდა ტემპერატურა და აღმოიფხვრა ბოლვა მაზუთის წვის დროს.

ტექნოლოგ მ. ცრომის წინადადებით მბრუნავი ამწის მაგივრად ამწყობ საამქროში მონორელსი გამართეს. ამით გაუმჯობესდა დაზგის სადგარზე სიჩქარის კოლოფის მორგება და სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად 1 მუშა განთავისუფლდა. ეს ღონისძიება ქარხანას წლიურად 26 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს.

მრავალი სხვა ასეთი რაციონალიზატორული ღონისძიება ხორციელდება ამჟამად კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში.

**მ. აროშიძე**

# ასანთის ფაბრიკას ხელს უშლიან მუშაობაში

მცხეთაში კარგად მოწყობილი ასანთის ფაბრიკაა, რომელიც უშვებს საქართველოში უკვე პოპულარულ ასანთს „გამარჯვებას". მცხეთელი მეასანთეები თავდადებით მუშაობენ და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ საწარმოო გეგმების შესრულებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

ფაბრიკის კოლექტივმა ნაყოფიერად იმუშავა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში და გეგმა 126,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნახევარი წლის გეგმა 106,6 პროცენტით.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ასანთის დამამზადებლები ვ. ირემაშვილი, ი. ბუთხუზი, ლ. ლუტიძე, ნ. ფირანაშვილი, ა. ოვაშვილი და სხვები.

ფაბრიკაში კარგად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, სერიოზული ყურადღება ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას. აგიტატორები ვ. გოგოლაძე, შ. კოპალაძე, ვ. კოროშინაძე, მ. ფედიჩევა და სხვები სისტემატურად მართავენ მუშებთან მიმზიდველ, შინაარსიან საუბრებს. რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი, ეწყობა ლექციები, პოლიტიკური მოხსენებები და სხვ.

ფაბრიკის კოლექტივს გაცილებით მეტი წარმატებები ექნებოდა, რომ მას სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდნენ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო და ხე-ტყის გასაღების რესპუბლიკური კანტორა. ივნისში ფაბრიკამ ასანთის დამზადების გეგმა მხოლოდ 82 პროცენტით შეასრულა. ეს იმიტომ, რომ 2-დან 15 ივნისამდე ასანთის დამზადება შეჩერებული იყო ნედლეულის უქონლობის გამო. ასანთის ნედლეულით ფაბრიკას ამარაგებს ახიგვარის სატყეო მეურნეობა (დირექტორი ამხ. ქარჩავა), რომელმაც ივნისის პირველ ნახევარში ჩაშალა მცხეთის ფაბრიკისათვის ნედლეულის მიწოდების გეგმა.

ასანთის ფაბრიკის ხელმძღვანელობამ წინასწარვე გაითვალისწინა ნედლეულის უქონლობის გამო მოსალოდნელი შეფერხება და სათანადო დახმარებისათვის მიმართა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს, ხე-ტყის დამზადების ტრესტს და ხე-ტყის გასაღების კანტორას. მაგრამ არაფერმა გაჭრა. ნედლეულის მიწოდება 1 ივნისიდან სავსებით შეწყდა. როგორც გამოირკვა, ახიგვარის სატყეო მეურნეობის დირექტორმა ამხ. ქარჩავამ თვითნებურად შეწყვიტა ასანთის ნედლეულის გზავნა მცხეთაში. სამაგიეროდ იგი ქარხანას დიდი რაოდენობით უგზავნიდა სახერხი საამქროსათვის საჭირო მაგარი ჯიშის ხე-ტყეს.

ასანთის ფაბრიკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის გასაღების კანტორისათვის ეცნობებინა შემდეგი: „განმეორებით გთხოვთ მისცეთ განკარგულება სატყეო მეურნეობას, რათა არ გამოგვიგზავნოს მაგარი ჯიშის სახერხი მორები. საწყობებში ადგილი აღარ გვაქვს, დახერხვა შეწყვეტილია, ვინაიდან დახერხილი მასალის დასაწყობი ადგილიც აღარ გვყოფნის, წიფლის მორები და ფიცრები გვიფუჭდება". ეს იყო 9 ივნისს. მაგრამ არც ამ მიმართვამ და თხოვნამ გაჭრა. საქმეში პარტიის მცხეთის რაიკომის ჩარევის შემდეგ ძლივს მოვიდნენ გონს ხე-ტყის დამამზადებლები და როგორც იქნა დაიწყეს ასანთისათვის საჭირო ნედლეულის გამოგზავნა, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. სამაგიეროდ ახიგვარიდან კვლავ უხვად იგზავნება არა ასანთის ნედლეული, არამედ მაგარი ჯიშის მორები, რომლებითაც ავსებულია ფაბრიკას ეზო.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრომ მცხეთის ასანთის ფაბრიკას დახმარება უნდა გაუწიოს.

**შ. ჩუბინიძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ნახევარი წლის გეგმა 20 დღით ადრე

ფოთის ნავსადგურის მეორე საწარმოო უბნის კოლექტივმა ტვირთის გადამუშავების ნახევარი წლის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით ტონა ტვირთი გადაამუშავა.

საუკეთესო მუშაობით თავი ისახელეს ამწეს მემანქანეებმა შ. აბურჯანიამ, გ. დარსაძემ, გ. მირცხულავამ, გ. კორტავამ, ლ. სტეპანოვამ, ლ. ბაბოსმა, მტვირთავთა და შემკვეთებელთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ა. დუმბაძე, ა. არჩაია, მ. ჯორჯიკია, ბ. ბელოვი ხელმძღვანელობენ.

უბნის კოლექტივი იბრძვის მექანიზმების მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოყენებისა და წლიური გეგმის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავზე შესრულებისათვის.

**სილ. ბუღავაძე**

ფოთის ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონის უფროსი

# სამეცნიერო სესია გორში

**გორი.** (საკ. კორ.). ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების" გამოქვეყნების წლისთავისადმი.

სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ვ. თოფურიამ — „ენათმეცნიერების სტრუქტურა ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების საფუძველზე", დოცენტმა კ. გუგუშვილმა — „ენის არაკლასობრივი ბუნებისათვის სტალინის მოძღვრების მიხედვით", ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ქ. ლომთათიძემ — „სტალინური მოძღვრების ძირითადი დებულებები ენის შესახებ", დოცენტმა ვ. რამიშვილმა — „ენათმეცნიერული სტილისტიკის საკითხები სტალინის მოძღვრების მიხედვით".

# სააგიტაციო-მხატვრული ბრიგადა მთიან საძოვრებზე

**ადიგენი.** (ჩვენი კორ.). ამ დღეებში ზეკარ-ნაღებას მთებში პარტიის ადიგენის რაიკომის პარტკაბინეტის გამგის შ. კუხალაშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა საგიტაციო მხატვრული ბრიგადა. ბრიგადის შემადგენლობაში არიან: მომხსენებლები პოლიტიკურ თემებზე, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმი, აგრონომი, ექიმები, ექიმის თანაშემწეები და მომღერალთა გუნდი ლელოვნის კლუბის გამგის რ. მაღალაშვილის ხელმძღვანელობით.

ბრიგადამ მომსახურება გაუწია ადიგენის რაიონის ვარხნის ვოროშილოვის, ბენარის დიმიტროვის, წახნის კალინინის და აბასთუმნის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობათა, აგრეთვე ქუთაისის რაიონის გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის", ქვაჰშირის ჩარკვიანის სახელობისა და სამტრედიის რაიონის გომის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობათა ფერმების მუშაკებს.

ფერმის მუშაკებთან გაიმართა სულ 26 მოხსენება და საუბარი. აგრეთვე გაიმართა კონცერტები. ფერმის მუშაკებს დაურიგდათ ასობით ახალი ჟურნალ-გაზეთები.

# პედაგოგთა ახალი კადრები

ამას წინათ შედგა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ დოცენტმა ს. ვაჩნაძემ. მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ა. ხარაძე.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა გ. დოლიძემ, რუსული ლიტერატურის კათედრის გამგემ დოცენტმა ა. ჩხეიძემ, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. თურმანიძემ და მესამე კურსის სტუდენტმა, სტალინურმა სტიპენდიატმა ც. კობახიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე წარჩინებული კურსდამთავრებულები: გ. ნანავა, ა. გუდაძე, ვ. მაკაროვა; ლექსი წაიკითხა ს. ჯაბადარმა. ინსტიტუტმა წელს გამოუშვა 400-მდე მაღალკვალიფიციური პედაგოგი. კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილებული არიან რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში.

# მეშახტეთა საზაფხულო დასვენება

**ტყიბული.** (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის პროფკავშირული ორგანიზაცია დიდ მზრუნველობას იჩენს მეშახტეთა საზაფხულო დასვენებისათვის.

ბევრმა სტახანოველმა მეშახტემ და ინჟინერ-ტექნიკოსმა შვებულება გაატარა საკავშირო და რესპუბლიკურ კურორტებზე. საპატიო მეშახტემ თ. ნანიკაშვილმა თავისი შვებულება კისლოვოდსკში გაატარა, სტახანოველმა მნგრეველმა დ. ტრუფანოვმა — სოჭში, მნგრეველმა მებიგემ პ. გვეტაძემ, ცვლის უფროსმა ალ. ცირეკიძემ — წყალტუბოში და სხვ.

ამჟამად კურორტებზე ისვენებენ მებიგე ს. კორჩინოვი, უბნის მექანიკოსი ნ. მოსაშვილი და სხვები.

# ჩეხოსლოვაკური კინოფილმების ფესტივალი

**ცხაკაია.** (საკ. კორ.) „გლავკინოპროკატის" ადგილობრივმა სარაიონთაშორისო განყოფილებამ აქ მოაწყო ჩეხოსლოვაკური კინოფილმების ფესტივალი. მაყურებლებმა ნახეს ჩეხოსლოვაკიის კინოს საუკეთესო ნაწარმოებები „ახალი ჩეხოსლოვაკია", „მაჩე", „ძველი პრაღის გმირები", „კაშხალი", „მუნჯი ბარიკადა" (ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი მწერლის იან დრდას ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით) და „აღსდგებიან ახალი მებრძოლები".

კინოფესტივალმა, რომელიც 6 დღეს გრძელდებოდა, დიდი ინტერესი გამოიწვია.

## პარიზის 2000 წლისთავის დღესასწაული

**პარიზი**, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთი პარიზის 2000 წლისთავს დღესასწაულობს.

იუბილესთან დაკავშირებით პარიზში დღეს გაიხსნა სამხედრო მუსიკის ფესტივალი. ფესტივალის დამსწრე მრავალ სტუმარს შორის იყვნენ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი და სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. პ. პავლოვი.

დღეს ქალაქის რატუშაში პარიზის მუნიციპალურმა საბჭომ საუზმე გამართა ქალაქ პარიზის 2000 წლისთავის დღესასწაულზე საფრანგეთში ჩამოსული სხვადასხვა სახელმწიფოთა დედაქალაქების მერების პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ 45 ქვეყნის დედაქალაქის მერები, აგრეთვე საფრანგეთის პროვინციული ქალაქების მერები. საუზმის დროს მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. იასნოვმა წარმოთქვა მოკლე მისასალმებელი სიტყვა, რომელშიც განაცხადა:

„ბატონო თავმჯდომარევ!

ბატონებო!

ქალაქ პარიზის დაარსების 2000 წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით პატივი მაქვს გადმოვცე საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვის მისალმება.

მოსკოვის მოსახლეობამ კარგად იცის და ახსოვს სახელოვანი ტრადიციები პარიზისა, რომლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან. მოსკოვის მოსახლეობა გამსჭვალულია პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობით ფრანგი ხალხისადმი, რომელმაც მოგვცა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის გაბედული ბრძოლის ესოდენ სასახელო მაგალითები.

ქალაქი მოსკოვი მიესალმება ქალაქ პარიზს მისი 2000 წლის იუბილეს დღეს და უსურვებს მას შემდგომ წარმატებებსა და აყვავებას".

ამხ. იასნოვის მისასალმებელ სიტყვას დამსწრენი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ ამხ. იასნოვმა მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა საჩუქრები — ფედოსკინოს ოსტატთა ნახელავი დიდი კოლოფი, რომელზეც გამოსახულია კრემლი და აქვს წარწერა — „ქალაქ პარიზს მისი 2000 წლისთავის დღეს ქალაქ მოსკოვისაგან", აგრეთვე ერთი მეტრი სიმაღლის ფაიფურის ვაზა, რომელზეც გამოხატულია რუსული პეიზაჟი და სპილოს ძვლით გაწყობილი ალბომი მოსკოვის ფერადი ფოტოხედებით.

მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარემ პიერ დე გოლმა საპასუხო სიტყვაში პარიზის სახელით მადლობა გადაუხადა იასნოვს მისალმებისა და გადაცემული საჩუქრებისათვის.

დასასრულ ამხ. იასნოვს გადაეცა ქალაქ პარიზის მუნიციპალური მრჩევლის ლენტი.

## არგენტინის კომპარტიის აღმასკომის განცხადება

**მონტევიდეო**, 7 ივლისი. (საკდესი). არგენტინის კომპარტიის აღმასკომმა გაზეთ „ნუესტრა პალაბრაში" გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „უოლ-სტრიტის აგენტების მიერ დაწყებულ პროვოკაციათა კამპანიის, აგრეთვე სახელმწიფო გადატრიალების მუქარის მიზანია უზრუნველყონ არგენტინის სრული ჩაბმა ომის ბანაკში, რომელსაც შეერთებული შტატები მეთაურობენ, და გადააქციონ არგენტინელები ამერიკის იმპერიალიზმის საზარბაზნე ხორცად".

არგენტინის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტი, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ არგენტინაში პრობლემები გადაწყდეს „ავანტიურისტული შეთქმულებისა და სახელმწიფო გადატრიალების გზით, და მოუწოდებს მუშათა კლასს და მთელ მშრომელ ხალხს გაერთიანდნენ ეკონომიური და სოციალური ხასიათის საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის კომიტეტებში. აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს—შექმნან მშვიდობისათვის ბრძოლის მძლავრი ანტიიმპერიალისტური დემოკრატიული ფრონტი, რომელიც უნდა გახდეს ნამდვილი დემოკრატიული სახალხო მთავრობის შექმნის საფუძველი.

„კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტი, — აღნიშნულია დასასრულ, — მზად არის მხარი დაუჭიროს ყოველ მთავრობას, რომელიც გაათავისუფლებს არგენტინას სხვადასხვა საერთაშორისო თათბირებზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხელმოწერილ ვალდებულებათაგან, რომლებითაც არგენტინას ეკისრება მონაწილეობა იმპერიალიზმის სამხედრო გეგმებში; მზადაა მხარი დაუჭიროს ყოველ მთავრობას, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე ფართო დემოკრატიულ გარანტიებს ყველა მოქალაქისათვის, ყველა მუშათა, პროფკავშირული, გლეხთა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიებისათვის".

## მშვიდობის დაცვის ამერიკის ეროვნული პროფკავშირული კონფერენციის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირთა ლიდერებისადმი

**პრაღა**, 7 ივლისი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იუწყება, რომ მშვიდობის დაცვის ამერიკის ეროვნულმა პროფკავშირულმა კონფერენციამ ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირთა 150 ლიდერს მიმართა წერილით, რომელშიც მოუწოდებს მათ გაუგზავნონ ტრუმენსა და აჩესონს განცხადება იმის შესახებ, რომ მხარს უჭერენ მოქმედებას, რომლის მიზანია კორეაში ომის შეწყვეტა და ამერიკის ჯარების სამშობლოში დაბრუნება.

წერილში ნათქვამია, რომ ამჟამად „წარმოიშვა ახალი და საიმედო შესაძლებლობა დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ტრაგიკულ ომს კორეაში".

## მექსიკა - საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური მექსიკაში

**ნიუ-იორკი**, 7 ივლისი. (საკდესი). დამთავრდა მექსიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური მექსიკაში.

ერთთვიურის დროს მოეწყო ბევრი ლექცია და მიტინგი, კინოფილმების ჩვენება და ფოტოგამოფენები საბჭოთა კავშირის შესახებ.

ერთთვიურის მოწყობასთან დაკავშირებით მექსიკა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის ორგანომ „კულტურა სოვიეტიკამ" სპეციალური ნომერი მიუძღვნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მიღწევათა აღწერას. ჟურნალში გამოქვეყნებულია აგრეთვე ბევრი მისასალმებელი დეპეშა მექსიკის პროფკავშირული, კულტურული, ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისაგან, რომლებიც გამოთქვამენ მექსიკელი ხალხის სურვილს — უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს საბჭოთა ხალხთან.

## ამერიკელები მაშველ ჯარს გზავნიან შორეულ აღმოსავლეთში

**ნიუ-იორკი**, 7 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰონოლულუდან იუწყება, ამერიკის არმიის სარდლობამ განაცხადა, რომ გაცემულია ბრძანება შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნოს ჰონოლულუში მყოფი მე-20 ცალკე ბატალიონი 1.700 კაცის შემადგენლობით. ეს საარმიო ცენტრ შეფილდში გაწვრთნილი პირველი ჯარისკაცები არიან. ისინი შორეულ აღმოსავლეთში უნდა გაიგზავნონ 14 ივლისის შემდეგ. დანიშნულების ადგილი გაურკვეველია.

## კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 7 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით ფრონტის ცალკეულ უბნებზე ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს.

დღის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

7 ივლისს თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა მტრის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

**ფხენიანი**, 8 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ფრონტის ცალკეულ უბნებზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა ჯარებსა და ლისინმანელებს. 8 ივლისს თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა მტრის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

## კესონის წინასწარი თათბირი კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

**ნიუ-იორკი**, 8 ივლისი. (საკდესი). ასოშეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრესის სააგენტოთა კორესპონდენტები კორეიდან იუწყებიან, რომ ამერიკის მე-8 არმიამ გამოაქვეყნა სპეციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ წინასწარი თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დაიწყონ 10 ივლისს კესონში.

**ლონდონი**, 8 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, კესონის დღევანდელ წინასწარ თათბირზე დამთავრდა დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკებისათვის მზადება. მოლაპარაკება დანიშნულია 10 ივლისისათვის.

## გენერალ რიჯუეის შტაბის ცნობა

**ნიუ-იორკი**, 8 ივლისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტის ცნობით, გენერალ რიჯუეის შტაბმა განაცხადა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებას კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა წარმომადგენლებთან აწარმოებს დელეგაცია 5 კაცის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობს ვიცე-ადმირალი ტერნერ ჯოი. დელეგაციაში შედიან აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელი გენერალ-მაიორი კრეიგი, ამერიკის მე-8 არმიის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ჰენრი ჰოუდსი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელი კონტრ-ადმირალი არლი ბერკი და სამხრეთ კორეის არმიის გენერალ-მაიორი პაკ სუნ იპი.

## დახმარება ომით დაზარალებულ კორეელ მოსახლეობას

**ფხენიანი**, 8 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დახმარებას უწევს ამერიკელთა აგრესიისაგან დაზარალებულ მოსახლეობას.

მაგალითად, ომით დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა, რომელიც კანვონის პროვინციაში მოეწყო, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში დაღუპულ პატრიოტთა ოჯახებსა და ომით დაზარალებულ მოსახლეობას მისცა 72.200 მეტრი მანუფაქტურა, 4.657 ერთეული ტანსაცმელი და სხვა მრავალი საქონელი.

## ირანის საშინაო საქმეებში ინგლის-ამერიკის ჩარევის გამო

**თეირანი**, 8 ივლისი. (საკდესი). გუშინ ინგლისის ელჩმა ირანში შეპერდმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს კაზემის გადასცა ნოტა, რომელშიც იუწყება, რომ ინგლისის მთავრობა ეთანხმება ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ყველა რეკომენდაციას, რომელიც მან შეიმუშავა ინგლისის მთავრობის თხოვნით, და მოელის, რომ ირანის მთავრობა დანიშნავს თავის ორ წარმომადგენელს საერთაშორისო სასამართლოს მიერ რეკომენდებულ „სამეთვალყურეო საბჭოში".

შეპერდი აგრეთვე იუწყება, რომ ინგლისის მთავრობა „კიდევ ერთ ნოტას გაგზავნის სასამართლოს რეკომენდაციების დეტალური განხორციელების შესახებ".

**თეირანი**, 8 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ქეიჰანის" ცნობებით, ირანის პრემიერ-მინისტრი მოსადეკი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის მიღების შემდეგ ტელეფონითა და ტელეგრაფით დაუკავშირდა ხუზისტანის პროვინციაში მყოფ ირანის ნავთის მრეწველობის ეროვნული კომპანიის დროებითი გამგეობის თავმჯდომარეს ინჟინერ ბაზარგანს და ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის განმახორციელებელი შერეული კომისიის მდივანს მეჯლისის დეპუტატს მაკის და უბრძანა მათ არათუ ყურადღება არ მიაქციონ საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, არამედ კიდევ უფრო ენერგიულად განაგრძონ თავიანთი მოქმედება ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის უდიდესად სწრაფი და სრული განხორციელებისათვის.

**თეირანი**, 8 ივლისი. (საკდესი). თეირანის გუშინდელი საღამოს გაზეთების ცნობებით, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გუშინ განაცხადა, რომ, რამდენადაც ირანის მთავრობა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს არ თვლიდა კომპეტენტურად — განეხილა ინგლისის მთავრობის საჩივარი ირანის მთავრობაზე და რამდენადაც საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ირანის მთავრობის მონაწილეობის გარეშე, იმდენად ირანის მთავრობას ეს გადაწყვეტილება არასწორად და ძალაუმოქმედებულად მიაჩნია.

**თეირანი**, 8 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჟურნალ დე ტეჰერანი" აღნიშნავს, მეჯლისის კომისიის — ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის განხორციელების მეთვალყურე შერეული კომისიის — მდივანმა, მეჯლისის დეპუტატმა მაკიმ, რომელიც ხუზისტანში იმყოფება, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა:

„როგორიც უნდა იყოს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს აზრი, ჩვენ განვახორციელებთ ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის 9 პუნქტს და არავითარ შემთხვევაში არ მივცემთ ნებას ყოფილ ინგლის-ირანის ნავთის მრეწველობის კომპანიას განაგრძოს ჩვენს საშინაო, პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ საქმეებში ჩარევა.

ხოლო თუ ინგლისი ძალას მიმართავს, ჩვენ წინააღმდეგობას გავუწევთ 18 მილიონი ირანელის, აგრეთვე მუსლიმანური ქვეყნებისა და ყველა იმ ერის დახმარებით, რომელთაც სურთ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნება".

## ვიეტნამელი ხალხის მამაცი ქალიშვილი

**შანხაი**, 7 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს გაზეთ „ეროვნულ ხსნაში" დაბეჭდილ ნაამბობს მამაცი პარტიზანი ქალის ნგუენ ტხი დინის შესახებ. ჩრდილოეთ ვიეტნამში სონ-ტაის პროვინციაში, ნათქვამია ცნობაში, ყველა იცნობდა მამაც პარტიზან ქალს ნგუენ ტხი დინს. 16 წლის ქალიშვილი, იგი ახალგაზრდა სოფლელ ქალთა კავშირის წევრი იყო.

როცა ფრანგები დაემუქრნენ სონ-ტაის, იგი სხვა პარტიზანებთან ერთად მამაცურად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. მალე მან შექმნა ქალთა პარტიზანული რაზმი. ფრანგების მიერ სონ-ტაის პროვინციის ოკუპაციის შემდეგ მისი რაზმი ხშირად ესხმოდა თავს მტრის პოზიციებს.

საბრძოლო წარმატებისა და ქალთა შორის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის ნგუენ ტხი დინი დაჯილდოებულ იქნა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" და არჩეულ იქნა წითელი მდინარის დელტის მესამე სამხედრო რაიონში გამართული ქალთა კონგრესის საპატიო წევრად.

ვიეტნამელი ხალხის მამაცი ქალიშვილი ამ ცოტა ხნის წინათ დაიღუპა საბრძოლო პოსტზე.

## ჯაშუშთა და მავნებელთა ბანდის პროცესი ბულგარეთში

**სოფია**, 7 ივლისი. (საკდესი). ქალაქ სტარა-ზაგორის საოლქო სახალხო სასამართლოში დამთავრდა პროცესი ჯაშუშთა და მავნებელთა — ხალხის მტრის ნიკოლა პეტკოვის შეთქმულთა რეაქციული ჯგუფის ყოფილი წევრებისა, რომლებმაც მოიკალათეს ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირში.

შეთქმულთა ბანდამ, რომელშიც შედიოდნენ ვილჩო კოვაჩევი, ნეიჩო ტონჩევი და სხვები, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირში ანტისახალხო დაჯგუფების აღდგენის მიზნით შექმნა თავისი სოკოლოთ, საოლქო ხელმძღვანელობანი, ხოლო ზოგიერთ სოფელში ძირეული ორგანიზაციები. ეს მავნებლური ჯგუფი აქტიურ აგიტაციას ეწეოდა შრომითი კოოპერაციულ სამიწათმოქმედო მეურნეობებში გლეხების შესვლის წინააღმდეგ, აგროვებდა საიდუმლო ცნობებს თაროლის შესასყიდად და ფაშისტური ელემენტების დასახმარებლად, ცდილობდა კავშირი გაება ბულგარელი ხალხის მტრებთან, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან.

საოლქო სახალხო სასამართლომ ყველა ბრალდებული დამნაშავედ ცნო და ჯაშუშური გამცემლური ბანდის ხელმძღვანელებს ვილჩო კოვაჩევსა და ნეიჩო ტონჩევს, ქულიუ ქელევსა და კონსტანტინე პიტნიკოვს მიუსაჯა ოც-ოცი წლის პატიმრობა. დანარჩენ ბრალდებულთა მიესაჯათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა 10-დან 15 წლამდე.

## მსოფლიოს ხალხები უარყოფენ გახრწნილ ამერიკულ „კულტურას"

**ნიუ-იორკი**, 7 ივლისი. (საკდესი). ამერიკის პრესა იძულებულია აღიაროს, რომ სხვა ქვეყნების ხალხები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან იმას, რომ ამერიკულმა „კულტურამ" ფეხი მოიკიდოს მათთან ჰოლივუდის საზიზღარი ფილმების, უშინაარსო რადიოგადაცემებისა და ეგრეთწოდებული „ამერიკული ცხოვრების" გავრცელების სხვა საშუალებათა სახით. ძლიერდება ხალხთა სიძულვილი ამერიკული მანკიერი იდეოლოგიისა და მახინჯი „კულტურისადმი".

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" დაბეჭდილი სტატია „ამერიკის კულტურული ბატონობის შიში". გაზეთი დიდი სინანულით აღნიშნავს, რომ ამერიკული „კულტურის" პროდუქცია პოპულარული არ არის მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, და მწუხარებით ამბობს, ამერიკული „კულტურა" „საერთაშორისო საფრთხობელა" გახდა.

„მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ხალხები,—ნათქვამია სტატიაში, — გადაჭრით აცხადებენ, რომ არა სურთ ჩვენ დაგვემსგავსონ. ამიტომ ამერიკული კულტურის ბატონობის შიშს ძალიან ხშირად აშკარად გამოთქვამენ ბევრ საერთაშორისო კონფერენციაზე. კანადაც კი გადამჭრელ ღონისძიებებს ახორციელებს, რათა დაიცვას თავისი კულტურა ჩვენი ტელევიზიის გავლენისაგან... საკმაოდ კარგად ცნობილია ინდოეთის მკვეთრად უარყოფითი თვალსაზრისი ჩვენებური ცხოვრების გამო". მსოფლიოს ხალხები, წერს გაზეთი, „სერიოზულად შიშობენ, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე მზრუნველობით დაგროვებული მათი კულტურული მემკვიდრეობა ამერიკული ნაგვით არ დაისვაროს".

## ფეხბურთი

კვირას, 8 ივლისს, [illegible] თბილისის „დინამოს" [illegible] ქვეყნის 1951 წლის [illegible] თამაში შეხვდნენ თბილისის „სპარტაკისა" და მოსკოვის სამხედრო-საზღვაო ძალების ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თბილისის „სპარტაკის" გუნდმა, რომელმაც კარგად ჩაატარა უკანასკნელი შეხვედრები, აღნიშნულ შეჯიბრებაში ვერ გამოიჩინა თავი. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად თამაშობდნენ თავდამსხმელები. მათ ინდივიდუალურ გარღვევებს ადვილად იგერიებდა სტუმრების დაცვა. აქტიურობდნენ მხოლოდ გარემარბები ე. დალაქიანი და კ. სიხარულიძე. ძლიერად და უნაკლოდ ჩაატარეს შეხვედრა მცველებმა ნ. გოგლიძემ, ა. ხურციძემ და ნახევარმცველმა მ. გამყრელიძემ.

ინიციატივა მთელი შეჯიბრების მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა, თუმცა ტერიტორიული უპირატესობა მეტწილად თბილისელთა მხარეზე იყო. თბილისელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე შესაძლებლობა ანგარიშის გახსნისა. მოსკოველთა იერიშებსაც არ მოჰყოლია რაიმე შედეგი. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ—0 : 0.

ამავე დღეს მოსკოვში ჩატარდა მოსკოვის „დინამოსა" და სტალინის „შახტიორის" გუნდების შეჯიბრება.

შეჯიბრება მოიგეს სტალინის „შახტიორის" გუნდის ფეხბურთელებმა ანგარიშით 4 : 3.

ლენინგრადში ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები — „დინამო" და „ზენიტი". შეჯიბრება დამთავრდა ფრედ—1 : 1.

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის სამხედრო-საჰაერო ძალთა და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 1 : 0.

## ხელოვნების ქრონიკა

### თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის გასტროლები ბორჯომში

**ბორჯომი**. (საქ. კორ.). ბორჯომის კულტურის სახლის შენობაში 6 ივლისს დაიწყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის გასტროლები.

თეატრმა პირველ დღეს მაყურებლებს უჩვენა გ. ნახუცრიშვილის პიესა „სიჭაბუკე ზელიმხანისა", რომელმაც მაყურებელთა დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია.

საგასტროლო რეპერტუარში შედის აგრეთვე გ. ნახუცრიშვილის და ზ. გამრეკელის „ლადო კეცხოველი", ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი" (ინსცენირებული ა. კაჭკაჭიშვილის მიერ), გ. ბერძენიშვილის „ბედნიერებისაკენ", გ. გოგიჩაიშვილის „ნათელი გზა", გ. ნახუცრიშვილის „კომბლე".

### თელავის თეატრის გასტროლები წითელწყაროში

**წითელწყარო**. (საქ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში წითელწყაროელ მაყურებელთ უჩვენა შ. დადიანის „ნაპერწკლიდან", ვ. პატარაიას „უჩა უჩარდია", ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი", ტხაო-დიან ჩუნის „38-ე პარალელის სამხრეთით", გ. ქელბაქიანის „ჩვენი პირადი საქმე", ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა", გ. ნახუცრიშვილის „ის დრო წავიდა".

სპექტაკლები 5.000-ზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

### ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

**ცხაკაია**. (საქ. კორ.). 23-27 ივნისს აქ გასტროლებზე იყო ზუგდიდის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც მაყურებელს უჩვენა ოთხი სპექტაკლი: გ. ქელბაქიანის „ჩვენი პირადი საქმე", ვ. პატარაიას „სანაპიროზე", გ. ბერძენიშვილის „მშვიდობის მტრედები" და შ. ჯაფარიძის კომედია „მძახლები".

როლები შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ერისთავმა, მსახიობებმა შ. მოსიამ, დ. მდივნიშვილმა, ჯ. რულულატიმ, გ. ლომაიამ, ნ. ჩუბინიძემ, გ. ვლადიმერაშვილმა და სხვებმა.

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**11 ივლისს**

6.40 — სიმღერები მშვიდობაზე. 9.25 — ქართული ხალხური სიმღერები. 18.10 — ქართული მუსიკის კონცერტი. 18.30 — ქართველი პოეტების ლექსები. 19.15 — ბოროდინის მეორე სიმებიანი კვარტეტი. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — კონცერტი საქართველოს ფილარმონიის სოლისტის ბ. დიდებულიძის შესრულებით. 20.45 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 21.55 — კონცერტი — ლექცია: „სიმფონიური ორკესტრი". 22.40 — ნაწყვეტი კ. ლორთქიფანიძის რომანიდან „იმერეთის ცისკარი". 23.00 — კონცერტი შალიაპინის და რახმანინოვის შესრულებით.

## დღეს თეატრებში

**სომხური დრამის** — „ყაჩაღები" (მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „ერთხელ გაზაფხულზე".

მოქალაქე **ვასილ აბგარის-ძე აკოფოვმა**, მცხოვრებმა ცხემის შესახვევი № 2, აღძრა საქმე კრიკელის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე **ვართანუშ გიორგის ასულ გალუსტოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ბერიას რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სიმონ მარკის-ძე დაშევსკიმ**, მცხოვრებმა ქვაბის შესახვევი № 4, აღძრა საქმე პანასევიჩის ქ. № 33 მცხოვრებ მოქალაქე **სუსანა ამაიაკის ასულ აგაბეგოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

**თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი** აცხადებს, რომ 1951-52 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) რუსული ენისა და ლიტერატურის, ბ) ფიზიკა-მათემატიკის, გ) ბუნებისმეტყველების, დ) ისტორიის.

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი. სწავლა ყველა ფაკულტეტზე იწარმოებს რუსულ ენაზე.

ინსტიტუტში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-35 წლის ასაკისა, ვისაც მიღებული აქვს საშუალო განათლება და ვინც წარმატებით ჩააბარებს დაწესებულ გამოცდებს.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც აქვთ დიპლომი წარჩინებით და შედიან გამოშვების 5%-ში, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა ფრიადოსნის ატესტატით.

ყველა დანარჩენი აბარებს გამოცდებს: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში) და ამას გარდა: რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე შემსვლელნი დამატებით აბარებენ გამოცდებს: სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, გეოგრაფიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული); ისტორიის ფაკულტეტზე: სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (სპეციალობანი — მათემატიკა, ფიზიკა): მათემატიკაში (წერასა და ზეპირში), ფიზიკაში, ქიმიაში; ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე: ფიზიკაში, ქიმიაში.

პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებობს ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი სპეციალობით: ა) სომხური ენა და ლიტერატურა, ბ) აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა. ამ სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, გეოგრაფიაში.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით და დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), ბ) ავტობიოგრაფია, გ) ცნობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, დ) სამი ფოტოსურათი (ვადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ), ე) პასპორტი (აღგენენ პირადად).

**შენიშვნა**: 1941, 1942, 1943 სასწავლო წლებში გაცემული ატესტატები რეგისტრირებულ უნდა იქნას სათანადო რაიონის განათლების განყოფილების მიერ.

განცხადების შემომტანი წინასწარ უნდა გაეცნოს ინსტიტუტთან არსებულ საექიმო კომისიაში.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში — ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 31, ტელეფონი № 3-45-47, ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

**თბილისის პირველი სამუსიკო სასწავლებლის დირექცია** აცხადებს 1951-52 სასწავლო წლისათვის მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: საფორტეპიანო, ვოკალური (სიმღერა), საორკესტრო (სიმებიანი და სასული), თეორიულ-საკომპოზიტორო, საგუნდო-სადირიჟორო და ხალხური საკრავებისა.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 14-დან 30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ სამუსიკო სკოლა (გარდა სიმღერის, საგუნდო სადირიჟორო და ხალხური საკრავების განყოფილებისა) და ზოგადი განათლების სკოლის 7 კლასი.

სასწავლებელში მიღებულნი ვალდებული არიან მუსიკალურ საგნებთან ერთად გაიარონ ამავე სასწავლებელში ზოგადი განათლების საგნები არსებული სასწავლო გეგმის ფარგლებში ქართულ ენაზე.

განცხადებები და საბუთები მიიღება 10 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 20 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის სასწავლო ნაწილში ყოველდღე.

მისამართი: ენგელსის ქუჩა № 14, ტელ. 3-08-02.

მეუღლე მელო, ძმები ბართლომე, ტრიფონ, ძმისწულები სიმონ, ელენე კუხიანიძეები, თინა, ანგია, ველა ბოჭორიშვილები იუწყებიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **მელიტონ სოფრომის-ძე კუხიანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-VII, 8 ს. გამოსვენება 12-VII, 6 ს. ანგის 16.

აკვირინე კაკელიძე შვილებით, რძლებით და შვილიშვილებით იუწყება **ვასასი მიხეილის ასულ მგალობლიშვილი-როინიშვილის** გარდაცვალებას.

მ. ძიძიშვილი, თ. ხუციშვილი, ქ. ამირაჯიბი, ვ. ნემსაძე, მ. მაღალაშვილი ოჯახებით იუწყებიან **ელენე გრიგოლის ასულ მაღალაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-VII, 6 ს. საჯაიას, 12.

ვერა მგალობლიშვილი შვილებით, კონსტანტინე გუდაძე და ჰეჰიკო მგალობლიშვილი ოჯახებით იუწყებიან **ვასასი მიხეილის ასულ მგალობლიშვილი-როინიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეკნია, შვილი ანზორ, დები მარო, იულია, დისწული პასიკო, სიდედრი ეფროსინე, სიმამრი მინა იუწყებიან **შიო ივანეს-ძე ხულაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-VII, 6 ს. ხუდადოვის, 56.

ქ. მურჯიკნელი, მ. ჩხეიძე, ნ. ქსოვრელი, ვ. პაპიაშვილი, ს. ვიქტოროვი, გ. ურუშაძე, გ. ჯვარიშეიშვილი, ა. სოკოლოვა, ქ. გრებენშჩიკოვა, ქ. ფოცხიშვილი, ქ. დიდია, ნ მარგველაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. კაკაბაძეს მისი დედის **მარიამ სოლომონის ასულ კაკაბაძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მიხეილ, შვილები ელიაზარ, ფილიმონ, რძლები ლუბა, სონია, რუსუდან, შვილიშვილები რევაზ, გივი, ციცო, მზია, ნუგზარ იუწყებიან **ვასასი მიხეილის ასულ მგალობლიშვილი-როინიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII, სოფ. ერკეთში (ჩოხატაურის რ.).

მ. ჩხეიძე, მ. ჩიხლაძე, კ. მიქიაშვილი, ი. დოლგოვი, გ. სოლომონია, ქ. ლოლუა, ვ. ნოდია თანაგრძნობას უცხადებენ ა. გიგოშვილს მისი ცოლისდის **ქეთევან ესტატეს ასულ ანანიაშვილის** გარდაცვალების გამო.

გ. გოჩიაშვილი, გ. შავლიაშვილი, რ. წურწუმია, შ. დარსაველიძე, ვ. წულაძე, გ. მიკუტიშვილი, ბ. რაზმაძიშვილი, ქ. კეპაყმაძე თანაგრძნობას უცხადებენ ი. ქურთიშვილს მისი შვილის **ალეკოს** გარდაცვალების გამო.

თამარ, მირონ, გივი, ნუნუ ჩუბინიძეები თანაგრძნობას უცხადებენ კ. და ა. გიგოშვილებს **ქეთევან ესტატეს ასულ ანანიაშვილის** გარდაცვალების გამო.

**პასუხისმგებელი რედაქტორი**
**გ. ნანიტაშვილი**

მეუღლე თამარ, შვილები ბიძინა, დავით, რძლები თუნონა, ნელი, ძმები ალექსანდრე, გრიგოლ ოჯახებით, შვილიშვილი მერაბ იუწყებიან ექიმ **გაბრიელ სპირიდონის-ძე კილენჯერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII, 5 ს. მაიაკოვსკში.

დედა ქეთო, ბიძა გრიშა, დეიდაშვილები დალი და ნოდარ აბულაძეები იუწყებიან **გულნარა ტარასის ასულ გაფრინდაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII, ს. შუქრუთში (ცაითურის რ.).

მშობლები ქეთო, გიორგი, დები ლილი, ცირა იუწყებიან **გუგული გიორგის ასულ გვარამაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-VII, 8 ს. გამოსვენება 12-VII, 6 ს. ქუთაისის, 29.

მეუღლე ვლადიმერ, შვილები ციცა, შოთა, და არუსიაკა, რძალი ნუნუ, შვილიშვილი დავით, სიძე ქ. სადილიანი იუწყებიან **მარიამ ივანეს ასულ კიკაბიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-VII, 7 ს. გამოსვენება 12-VII, 6 ს. აუზის, 5.

ი. იმედაძე, ლ. ხაზარაძე, ზ. ხოფერია, რ. გოგიაშვილი, გ. ელიავა, ი. დლონტი, ვ. სანიკიძე, ი. კოდუა, ნ. გურგენიძე, რ. აფხაზავა, ე. დანელია, შ. ყიზილაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ა. სულიძეს მისი მამის **შიოს** გარდაცვალების გამო.

ნ. ჯორჯიკია, ს. ივარდავა, ნ. ჩაჩიბაია, გ. ტულკესი, ა. რუხაძე, ს. ტატინიანი თანაგრძნობას უცხადებენ ი. ქურთიშვილს მისი შვილის **ალეკოს** გარდაცვალების გამო.

მ. მიქელაძე, ი. მაისაია, ი. რაზმაძე, ი. სილაგაძე, შ. ნიჟარაძე, გ. სანაკოევი, ო. მუსერიძე, ა. ითსავა, გ. გუმბარიძე, ქვანია თანაგრძნობას უცხადებენ ა. კაკაბაძეს მისი დედის **მარიამ სოლომონის ასულ კაკაბაძის** გარდაცვალების გამო.

ლ. მარახინი, ვ. ჯაში, ნ. ჯორჯიკია, ვ. ინწკირველი, გ. სვანიძე, თ. ფარცვანია, ლ. ჩოკვაიძე, ა ჟღენტი გ. კურცხალია, ს. პუშკარსკი, ს. სურგულაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ი. ქურთიშვილს მისი შვილის **ალეკოს** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოს — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ცოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 02791